შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/03/04-004
04-03-2025 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს,

კომისიის წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,

ქალბატონებო და ბატონებო,

წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ შენიშვნას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ საჯარო გაცნობისათვის, საჯარო კონსულტაციების დაწყების, კომენტარების წარდგენისა და ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით გამოქვეყნებულ პროექტთან დაკავშირებით.

დადგენილების პროექტის თანახმად, კომისიის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია თუ მისი მონაწილე პირების ჯამური ერთობლივი შემოსავალი, საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს.

დადგენილების 47-ე მუხლის ახალი რედაქციით განიმარტება ერთობლივი შემოსავლის გამოთვლის პირობები, მაგრამ დადგენილებით არ არის განმარტებული რა იგულისხმება საკუთრივ „ერთობლივ შემოსავალში“. აღნიშნული ტერმინი ასევე გამოყენებული დადგენილების სხვა მუხლებშიც (მაგ. 32.2, 46, 54 მუხლები). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დადგენილების დებულებების განჭვრეტადობის თვალსაზრისით და ორაზროვნების გამოსარიცხად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე განიმარტოს ტერმინი „ერთობლივი შემოსავალი“.

შ-25-6/875
04.03.25
1+1ფ

პატივისცემით,

გიორგი გაგნიძე
გენერალური დირექტორი

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

Digitally signed by MagtiCom LLC
2025.03.04 14:56:20 +0400
მაგთიკომი
MAGTICOM